საქართველოს მთავრობის

დადგენილება №227

2021 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

„ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №324 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №324 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/05/2020, 340170000.10.003.022037) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივლისიდან.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის –„ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2022 წლის 1 ივნისამდე ბატარეებისა და აკუმულატორების ყველა მწარმოებელი ვალდებულია, გაიაროს რეგისტრაცია მგვ-ის რეესტრში და შეიტანოს შემდეგი ინფორმაცია:“.

3. ტექნიკური რეგლამენტის დანართი I ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი I

ბატარეებისა და აკუმულატორების შეგროვების მიზნობრივი მაჩვენებლები წლების მიხედვით

	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
პორტატული ბატარეა, პორტატული აკუმულატორი (ბაზარზე განთავსებული რაოდენობიდან)	5%	10%	15%	20%	25%	30%	35%	40%	45%	50%
საავტომობილო აკუმულატორი (წარმოქმნილი ნარჩენებიდან)	80%	90%	95%	95%	95%	95%	98%	98%	98%	99%

სამრეწველო ბატარეა ან სამრეწველო აკუმულატორი (წარმოქმნილი ნარჩენებიდან)	80%	90%	95%	95%	95%	95%	98%	98%	98%	99%

ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების რეციკლირების მაჩვენებლები წლების მიხედვით

	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
ტყვია-მჟავა ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები	50%	65%	65%	65%	65%	65%	65%	65%	65%	65%
ნიკელისა და კადმიუმის ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები	60%	75%	75%	75%	75%	75%	75%	75%	75%	75%
სხვა ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენები	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%	50%

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**